საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1648

15/12/2021

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება) სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საწარმო მდებარეობს ქ. თბილისში ალექსანდრე ქართველიშვილის ქ. №8-ში, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ კუთვნილ 9450 $м^2$ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.08.19.265), რომელზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2). ტერიტორიის 2 600 $м^2$-ზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, 3 000 $м^2$ ღია გრუნტითაა დაფარული, ხოლო დანარჩენი ფართი (3 850 $м^2$) მობეტონებულია. საწარმოს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან - სხვადასხვა პროფილის საწარმოო ობიექტები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საწარმოს საკადასტრო საზღვრის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ქართული მინერალური მასალების“ სილიკატური ქვიშისა და დაფქვილი კირქვის ($CaCO_3$) შრობისა და გაცრის საწარმო. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 800 მ-ით.

2018 წლის პირველ მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-122 ბრძანებით გაიცა შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება (N5; 26.02.2018), ხოლო 2018 წლის 10 დეკემბერს შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-997). ამასთან, 2019 წლის 7 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1064 და 2020 წლის 7 ოქტომბრის N2-903 ბრძანებებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილებები შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, რომელთა თანახმად, დაგეგმილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ექსპლუატაციის პირობების

ცვლილებები არ ითვალისწინებდა წარმოებული პროდუქციის სახეობის ცვლილებასა და რაოდენობის გაზრდას, ასევე, ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებას.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფუნქციონირებს 2008 წლიდან. იგი აწარმოებს წყალდისპერსიულ საღებავებს წელიწადში 10 000 ტ და მშრალ ნარევებს წელიწადში 10 000 ტ წარმადობით. საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი. საწარმო ფუნქციონირებს 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, წელიწადში 250 დღე.

ტექნოლოგიურ პროცესში ძირითადად გამოყენებულია თანამედროვე ტიპის გერმანული მანქანა-დანადგარები. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული კორპუსი, წყალდისპერსიული საღებავების საწარმო საწყობით, სასაწყობო ბაქანი და მშრალი ნარევის საამქრო. ეს უკანასკნელი ანგარის ტიპისაა და მის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია ოთხი სილოსი.

ამჟამად, წყალდისპერსული საღებავების საამქროს ასპირაციული სისტემა აღჭურვილია ორი ციკლონითა და მტვრის სველი დამლექი ორი კამერით. მშრალი ნარევების საამქროს ასპირაციული სისტემა მოიცავს ასევე ორ ციკლონს. სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალდისპერსული საღებავების საამქროში არსებულ ორ ციკლონს დაემატება ორი ახალი ციკლონი. ციკლონების თავზე განთავსდება შემკრები კამერა, რომელზეც დაიდგმება ქსოვილოვანი ფილტრი. ხოლო მშრალი ნარევების საამქროში შემკრები კამერა დაიდგმება არსებულ ციკლონებზე, რომლებზეც ასევე განთავსდება ქსოვილოვანი ფილტრი. ქსოვილოვანი ფილტრი წარმოადგენს 800 მმ დიამეტრისა და 1 000 მმ სიმაღლის ლითონის კორპუსს, რომელშიც განთავსებულია 210 მმ დიამეტრისა და 800 მმ სიმაღლის ოთხი ცალი ქსოვილის სახელო. ფილტრი აღჭურვილია დამბერტყი მოწყობილობით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ მოიცავს წარმოებული პროდუქციის სახეობის ცვლილებას, წარმადობის გაზრდას და ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებას. სკრინინგის განცხადების თანახმად არ იგეგმება ახალი შენობა-ნაგებობების მოწყობა და ტერიტორიის ფართობის გაზრდა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით შემცირდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინტენსივობა, შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციისას არ არის მოსალოდნელი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ციკლონები საწარმოში შემოიზიდება მზა სახით. სამონტაჟო სამუშაოები გაგრძელდება არაუმეტეს ორი დღისა, რა პერიოდშიც საწარმო არ იფუნქციონირებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ მოახდენს ზემოქმედებას ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებაზე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ არის მოსალოდნელი საწარმოო ნარჩენების გაზრდა.

საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ფლორისა და ფაუნის მნიშვნელოვანი სახეობები, რომელთაც განსაკუთრებული დაცვის ღონისძიებების გატარება ესაჭიროება. შესაბამისად, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა სამგორის რაიონის გამგეობაში საინფორმაციო დაფაზე ან/და

ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისას (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება) არ არის მოსალოდნელი გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება) ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „კაპაროლ ჯორჯიამ“ საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 დეკემბრის (ბრძანება N2-997) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;
3. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 დეკემბრის N2-997 ბრძანებით შპს ,,კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
4. შპს „კაპაროლ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის'' სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კაპაროლ ჯორჯიას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი